საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კომანდელი

კომანდელი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში, მდ-ების – რიონისა და ჯეჯორის შესართავთან. თემის ცენტრი (სოფლები: კ., სომიწო, სხიერი, ქორთა, ქრისტესი, ხირხონისი). ზ.დ. 880 *მ*, ონიდან 2 *კმ*. 55 მცხ. (2014).

კ. წერილობით წყაროებში პირველად ა. გიულდენშტედტთანაა დამოწმებული. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) რამდენიმე რუკაზე სოფელი გამყრელიძის სახელწოდებითაა დატანილი. კ-ში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ძალზე დაზიანებული ციხის ნანგრევები, რ-იც გამყრელიძეთა ციხე-დარბაზის ნაშთს წარმოადგენს.

თ. ბერაძე